

1984/2



პროლატარებო
ყველა
შვეყნისა,
შეერთდით!

საქართველოს
საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკის

№ 12

1 9 8 4

უმაღლესი საბჭოს
უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოსევა

თ ბ ი ლ ი ს ი



17.824

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის



უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 12 (492)

დეკემბერი

1984 წელი

შინაარსი

განყოფილება პირველი

- 410. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისა და საქართველოს სსრ მეცხრამეტე მოწვევის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დანიშვნის შესახებ.
- 411. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.
- 412. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. ა. სობოლევის საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.
- 413. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ჯ. დ. კუბლაშვილის საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.
- 414. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ბ. ზ. მაცაშვილის საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრად დანიშვნის შესახებ.
- 415. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. თ. პ. გელეაშვილის საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ.
- 416. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „ცეცხლსასროლი იარაღის შექმნის, რეგისტრაციის, გამოყენებისა და შენახვის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე.

საქ. სსრ კ. მარქსის

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს ძვირ მიღებული
კანონები და დადგენილებები

- 417. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1985 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ
- 418. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1985 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.
- 419. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1984 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.
- 420. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ 1983 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.
- 421. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის სამოქმედოდ შემოღების შესახებ.
- 422. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჩანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის მუშაობის შესახებ.
- 423. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე.
- 424. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი „საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ერთ საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროდ გაერთიანების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.
- 425. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შემავალი ცალკეული პირების თანამდებობაზე დანიშვნისა და განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე.
- 426. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება „აზ. გ. ი. ბახტაძის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრად არჩევის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.
- 427. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფის მიერ შეკითხვის წესით დაყენებული საკითხის შესახებ.

ბანუოზილება მეორე

- 428. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მედლით „წყალ-წილებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
- 429. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
- 430. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

431. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ ახლავარდობის დამსახურებული დამრიგებლის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
432. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მედიცინის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.
433. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სახელმწიფო სპორტო ინსტიტუტ „საქალაქმშენსახპროექტის“ მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.
434. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება რესპუბლიკის სამუსიკო და სამხატვრო სასწავლებელთა პედაგოგებისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
435. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ორკესტრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
436. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნისა და ფოლადთუქსამსხმელო ქარხნის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.
437. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ ხე-ტყის, ხის დამმუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.
438. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს საქართველოს რესპუბლიკური სპეციალიზებული სამმართველო „ავტოტექნომსახურების“ მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.
439. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. გ. ბაღათურისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
440. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. გ. კალანდიასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
441. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ს. დ. უზუნაშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ვეტერინარი ექიმის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
442. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. შ. გ. ჩიხლაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
443. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ო. გ. ცინცაძისათვის „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
444. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ბ. პ. კელიძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

445. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ლ. ვ. ხავთასისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
446. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.
447. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.
448. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. ზ. ჯობავასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
449. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ენერგეტიკული მშენებლობის დარგის მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.
450. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ა. მაგომეტოვისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
451. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. გ. მარტიროსოვისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
452. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ქ. თბილისში საზღვიო რიტუალთა სასახლის მშენებლობაზე განსაკუთრებით თავგამოჩენილ პირთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
453. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ყურნალ „საბჭოთა მედიცინის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
454. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ „საქქალაქმშენსახპროექტის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
455. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ „საქქალაქმშენსახპროექტის“ მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
456. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
457. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნისა და ფოლად-თუჯსამსხელო ქარხნის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

472. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. მ. ს. ლორთქიფანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
473. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. მ. გ. სმირნოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მისამი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

განყოფილება პირველი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

410 საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისა და საქართველოს სსრ მეცხრამეტე მოწვევის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დანიშნის შესახებ

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მეთვრამეტე მოწვევის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების უფლებამოსილების ვადის გასვლასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ კონსტიტუციის 86-ე მუხლის, „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის მე-12 მუხლისა და „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის მე-12 მუხლის საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დანიშნოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნები და საქართველოს სსრ მეცხრამეტე მოწვევის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნები კვირას, 1985 წლის 24 თებერვალს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1984 წლის 8 დეკემბერი.

№ 2813—X

411 საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის 23-ე და 24-ე მუხლების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების შემდეგი წარმომადგენლების შემადგენლობით:

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე

გაჩიჩილაძე გივი სერგოს ძე, თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის ხარატი, — თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების კოლექტივისაგან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

კვაჭაძე ზინაიდა არსენის ასული, პროფესიული კავშირების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს მდივანი, — საქართველოს სსრ პროფესიული კავშირებისაგან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანი

შარტავა ჟიული კალისტრატეს ძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული განყოფილების გამგე, — საქართველოს სსრ კულტურის მუშაკთა პროფესიული კავშირისაგან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები:

აგრაბა ტომა გრიშას ასული, სოხუმის ს. ორჯონიკიძის სახელობის ტყავფეხსაცმლის კომბინატის მუშა, — სოხუმის ს. ორჯონიკიძის სახელობის ტყავფეხსაცმლის კომბინატის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების კოლექტივისაგან;

გაგლოვა მარინა ივანეს ასული, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცხინვალის რაიონის ქუროთას საექიმო ამბულატორიის ექიმი, — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცხინვალის რაიონის ქუროთას საექიმო ამბულატორიის სამედიცინო პერსონალისაგან;

გიგუაშვილი ლიზა ვიქტორის ასული, გორის რაიონის ტყვიავის საშუალო სკოლის მასწავლებელი, — გორის რაიონის ტყვიავის საშუალო სკოლის პედაგოგთა კოლექტივისაგან;

გურგენიძე ნელი ვლადიმერის ასული — საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი, თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციისაგან;

ღავითაშვილი მიხეილ დანიელის ძე, გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორი, — გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქციის კოლექტივისაგან;

დარბინიანი სიმონ მარტიროსის ძე, ახალციხის რაიონის წყალთბილის მე-კარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობის მემინდვრეობის ბრიგადის ბრიგადირი, — ახალციხის რაიონის წყალთბილის მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და მოსამსახურეების კოლექტივისაგან;

დგებუაძე მაია ზურაბის ასული, ზუგდიდის რაიონის სოფელ კოკის ნ. ბარათაშვილის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე, — ზუგდიდის რაიონის სოფელ კოკის ნ. ბარათაშვილის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

დევაძე მაყვალა ჰასანის ასული, ბათუმის ფეხსაცმლის სამრეწველო-სავაჭრო ფირმის მუშა, საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ბათუმის საქალაქო ორგანიზაციისაგან;

მამედოვი ვეისალ ალაი ოღლი, ბოლნისის რაიონის ქვეშის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, — სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ბოლნისის რაიონული ორგანიზაციისაგან;

მამრაში ნოდარ დავრიშის ძე, თბილისის საწარმოო გაერთიანება „საქელექტრომანქანის“ მეთაური ქარხნის „მიკროძრავის“ ზეინკალ-მეიარაღე, — ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონული პარტიული ორგანიზაციისაგან;

მახათაძე ბიჭიკო შალვას ძე, ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ოსტატის თანამემწე, — ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების კოლექტივისაგან;

მერკუშევი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტიკური სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე, — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტიკური სამმართველოსაგან;

სეხნიაშვილი ემილ ალექსის ძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს მდივანი, — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმისაგან;

თაველიშვილი თარიმან ამირანის ძე, საგარეჯოს რაიონის სოფელ ყანდაურას კოლმეურნეობის კოლმეურნე, — საგარეჯოს რაიონის სოფელ ყანდაურას კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

412 ამხ. ვ. ა. სოგოლევის საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის თანამდებოვრიდან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

განთავისუფლდეს ამხ. ვლადიმერ ალექსანდრეს ძე სოგოლევი საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის თანამდებობიდან პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1984 წლის 17 დეკემბერი.

№ 2832—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

413 ამხ. ჯ. დ. კუბლაშვილის საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის თანამდებოვრიდან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

განთავისუფლდეს ამხ. ჯაბა დავითის ძე კუბლაშვილი საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1984 წლის 21 დეკემბერი.

№ 2857—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

414 ამხ. ბ. ზ. მაყაშვილის საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:
დაინიშნოს ამხ. ბელა ზაქარიას ასული მაყაშვილი საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1984 წლის 29 დეკემბერი.

№ 2879—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

415 ამხ. თ. პ. გელიშვილის საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:
დაინიშნოს ამხ. თენგიზ პავლეს ძე გელიშვილი საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1984 წლის 29 დეკემბერი.

№ 2880—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

416 „ცეცხლსასროლი იარაღის შექმნის, რეგისტრაციის, გამოყენებისა და შენახვის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე

„ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის შექმნის, შენახვისა და გამოყენების წესების დარღვევისათვის აღმინისტრაციული პასუხისმგებ-

ლობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1984 წლის 14 ივნისის ბრძანებულებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1985 წლის 1 იანვრიდან ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 15 დეკემბრის ბრძანებულება „ცეცხლსასროლი იარაღის შექმნის, რეგისტრაციის, გამოყენებისა და შენახვის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1976 წ., № 12, მუხ. 216).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1984 წლის 29 დეკემბერი.

№ 2881—X

**საქართველოს სსრ მიათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს
მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები**

**საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
კანონი**

**417 საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების
1985 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1985 წლის სახელმწიფო გეგმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმოსაბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების შესწორებათა გათვალისწინებით.

მუხლი 2. დადგინდეს 1985 წლისათვის საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით მატების შემდეგი ტემპი:

(მატება პროცენტობით
1984 წელთან შედარებით)

რესპუბლიკის ტერიტორიაზე წარმოებული ეროვნული შემოსავალი 5,7

მრეწველობის პროდუქცია რესპუბლიკის ტერიტორიის მიხედვით 6,1

აქედან:

წარმოების საშუალებათა წარმოება 5,4

(მატება პროცენტობით
1984 წელთან შედარებით)

მოხმარების სავნების წარმოება	6,4
სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი რესპუბლიკურ და საკავშირო-რესპუბლიკურ მეურნეობაში	6,0
საერთო სარგებლობის სავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა	2,1
მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში	1,5
შრომის ნაყოფიერების ზრდა რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობაში	3,0
მოგება რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებისა და ორგანიზაციების სამრეწველო საქმიანობიდან	9,8
რეალური შემოსავლები ერთ სულ მოსახლეზე	4,0
ხელფასის ფონდი რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში	6,3
მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები ერთ სულ მოსახლეზე	5,0
სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა	7,4
მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობა	6,8
ბაიჭოთა რიცხვი სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ სკოლამდელ დაწესებულებებში საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში	3,6
მოსწავლეთა რიცხვი გახანგრძლივებული დღის სკოლებსა და ჯგუფებში	5,1
კვალიფიციურ მუშათა გამოშვება პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებიდან	5,1
საავადმყოფო საწოლების რაოდენობა	1,2

აშენდეს 1985 წელს საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებებისა და საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახსრებით 1065 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები.

მუხლი 3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1985 წლის სახელმწიფო გეგმის რეალიზაციის დროს იხელმძღვანელოს სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებით და განახორციელოს საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერებისა

და ტექნიკის თანამედროვე მიღწევათა დანერგვის დაჩქარების, სათბობის, ნედლეულის, მასალების, ენერჯისა და სამუშაო დროის დაზოგვის, სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში სახელმწიფო და შრომის დისციპლინის ყოველმხრივი განმტკიცების, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის ღონისძიებანი და ამის საფუძველზე უზრუნველყოს წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდა, პროდუქციისა და სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესება და თვითღირებულების შემცირება, წლიური გეგმისა და მთლიანად ხუთწლედის დავალებათა უთუო შესრულება და საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს დაზუსტებანი საგეგმო დავალებებში.

მუხლი 4. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1985 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ წინადადებები და შენიშვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების დასკვნაში, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე დებუტატთა მიერ გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები და მიიღოს მათ გამო შესაბამისი გადაწყვეტილებები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1984 წლის 15 დეკემბერი.

№ 157—X ს

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

კანონი

418 საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1985 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1985 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების შესწორებათა გათვალისწინებით შემოსავლის ნაწილში 2.984.015 ათასი მანეთის და გასავლის ნაწილში 2.984.015 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 2. დაწესდეს საქართველოს სსრ 1985 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავალი სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან — ბრუნვის გადასახადი, საწარმოო ფონდების საფასური, მოგების თავისუფალი ნაშთი, მოგების ანარიცხები, საშემოსავლო გადასახადი და სხვა შემოსავალი სოციალისტური მეურნეობიდან — სულ 2.635.023 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 3. დაწესდეს საქართველოს სსრ 1985 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გასავალი სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად — სამშენებლო ინდუსტრიის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი განვითარებისათვის — სულ 1.405.645 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 4. დაწესდეს საქართველოს სსრ 1985 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნებანი სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის — ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, ბიბლიოთეკების, კლუბების, თეატრების, ბეჭდვითი სიტყვის, ტელევიზიის, რადიომაუწყებლობის და განათლებისა და კულტურის სხვა ღონისძიებებისათვის: საავადმყოფოების, საბავშვო ბაგების, სანატორიუმებისა და ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის სხვა დაწესებულებებისათვის; პენსიებისა და დახმარებისათვის — სულ 1.447.826 ათასი მანეთის ოდენობით, აქედან სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტით 321.020 ათასი მანეთი.

მუხლი 5. დაწესდეს საქართველოს სსრ 1985 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნებანი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისა და სასამართლოების შესანახად 40.463 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 6. დამტკიცდეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1985 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში 2.739.054 ათასი მანეთი და გასავლის ნაწილში 2.067.382 ათასი მანეთის ოდენობით. ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებსა და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივ ბიუჯეტებში საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გადასაცემი სახსრები 671.672 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 7. დაწესდეს საქართველოს სსრ, ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტები და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი ბიუჯეტები 1985 წლისათვის შემდეგი თანხებით:

(ათასი მანეთი)

	შემოსავალი	მათ შორის	გასავალი
		ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლე- ბიდან	
1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭო- თა სოციალისტური რესპუბლიკა	94.966,0	68.599,1	94.966,0
2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სო- ციალისტური რესპუბლიკა	77.323,0	58.741,8	77.323,0
3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	26.878,0	22.880,5	26,878,0
4. ქალაქი თბილისი	270.469,0	172.628,4	270.459,0
5. ქალაქი ქუთაისი	40.403,8	24.791,2	40.403,8
6. ქალაქი ფოთი	10.299,9	5.865,4	10.299,9
7. ქალაქი კიათურა	11.150,5	8.938,7	11.150,5
8. ქალაქი რუსთავი	21.756,9	12.729,1	21.756,9
9. ქალაქი გორი	8.621,1	5.104,2	8,621, 1
10. ქალაქი ტყიბული	6.110,8	5.233,6	6.110,8
11. ქალაქი ზუგდიდი	8.070,8	4.442,8	8.070,8
12. ქალაქი წყალტუბო	7.794,7	3,458,0	7.794,7
13. ქალაქი მარნეული	2.897,3	2.207,6	2.897,3
14. აბაშის რაიონი	4.965,0	4.244,4	4.965,0
15. ადიგენის რაიონი	4.255,8	3.843,4	4.255,8
16. ამბროლაურის რაიონი	4.228,6	3.768,3	4.228,6
17. ასპინძის რაიონი	3.540,9	3,229,1	3.540,9
18. ახალქალაქის რაიონი	8.648,5	7,621,5	8.648,5
19. ახალციხის რაიონი	7.757,6	6.601,8	7.757,6
20. ახმეტის რაიონი	6.218,1	4.757,4	6.218,1
21. ბოგდანოვკის რაიონი	6.623,7	5.988,7	6.623,7
22. ბოლნისის რაიონი	7.688,4	6.452,1	7.688,4
23. ბორჯომის რაიონი	5.852,7	4.553,2	5.852,7
24. გარდაბნის რაიონი	10.226,5	6.383,7	10.226,5
25. გეგეუქორის რაიონი	6.813,1	5.914,4	6.813,1
26. გორის რაიონი	8.752,7	7.456,5	8.752,7
27. გურჯაანის რაიონი	8.863,1	7.044,8	8.863,1
28. დმანისის რაიონი	6.275,4	5.808,5	6.275,4
29. დუშეთის რაიონი	6.822,5	5.845,0	6.822,5
30. ვანის რაიონი	5.982,8	5.242,5	5,982, 8
31. ზესტაფონის რაიონი	9.237,7	7.050,3	9,237,7
32. ზუგდიდის რაიონი	8.764,3	7.592,1	8.764,3
33. თეთრი წყაროს რაიონი	5.042,5	4.132,1	5.042,5
34. თელავის რაიონი	10.699,9	8.776,0	10.699,9
35. თერჯოლის რაიონი	6.686,8	5.292,7	6.686,8
36. თიანეთის რაიონი	3.994,7	3.670,9	3.994,7

(ათასი მანეთი)

17.824

	შემოსავალი	მათ შორის	
		ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან	გასავალი
37. კასპის რაიონი	6.806,2	5.690,3	6.806,2
38. ლაგოდეხის რაიონი	7.247,4	6.284,4	7.247,4
39. ლანჩხუთის რაიონი	5.880,5	4.985,2	5.880,5
40. ლენტეხის რაიონი	3.531,9	3.236,7	3.531,9
41. მაიაკოვსკის რაიონი	5.188,8	4.490,6	5.188,8
42. მარნეულის რაიონი	8.765,3	6.858,2	8.765,3
43. მახარაძის რაიონი	11.518,3	9.172,3	11.518,3
44. მესტიის რაიონი	4.789,6	4.457,8	4.789,6
45. მცხეთის რაიონი	6.284,3	4.826,5	6.284,3
46. ონის რაიონი	3.329,9	2.946,8	3.329,9
47. ორჯონიკიძის რაიონი	5.436,5	4.792,3	5.436,5
48. სვანეთის რაიონი	6.650,4	5.659,5	6.650,4
49. სამტრედიის რაიონი	8.173,0	6.733,2	8.173,0
50. საჩხერის რაიონი	6.603,8	5.823,8	6.603,8
51. სიღნაღის რაიონი	6.927,7	5.873,8	6.927,7
52. ქარელის რაიონი	6.482,1	5.562,3	6.482,1
53. ყაზბეგის რაიონი	2.513,3	2.222,3	2.513,3
54. ყვარლის რაიონი	6.087,7	4.215,1	6.087,7
55. ჩხოტატურის რაიონი	5.014,9	4.350,0	5.014,9
56. ჩხოროწყუს რაიონი	5.808,7	4.872,8	5.808,7
57. ცაგერის რაიონი	4.350,0	3.926,5	4.350,0
58. ცხაქვიას რაიონი	7.122,5	6.070,1	7.122,5
59. წალენჯიხის რაიონი	6.782,8	6.017,7	6.782,8
60. წალკის რაიონი	7.012,2	6.366,3	7.012,2
61. წითელი წყაროს რაიონი	5.923,1	5.011,5	5.923,1
62. წულუკიძის რაიონი	5.515,0	4.464,6	5.515,0
63. ხაშურის რაიონი	6.971,0	5.316,4	6.971,0
64. ხობის რაიონი	5.243,0	4.555,2	5.243,0
ს უ ლ	916,633,0	671.672,0	916.633,0

მუხლი 8. დამტკიცდეს 1985 წლისათვის საერთო-საკავშირო სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლის ანარიცხები საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებში და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივ ბიუჯეტებში შემდეგი ოდენობით:

ა) სატყეო შემოსავლიდან, კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან, სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან და სსრ კავშირის უცოლო, მარტოხელა, მცირეოჯახიანი მოქალაქეთა გადასახადიდან, ფულისა და ნივთების ლატარიების შემოსავლიდან — 100 პროცენტით;

მ. ჯ. სსრ კ. მარქსის
 სსრ, სსრ. რისპაზ.

ბ) 1982 წ. სახელმწიფო შინაგანი მომგებანი სესხის ობლიგაციების რეალიზაციის თანხიდან, მოსახლეობის ნაგებობების, საოჯახო ქონების, ტრანსპორტის საშუალებებისა და ცხოველების ნებაყოფლობითი დაზღვევის აგრეთვე უბედური შემთხვევებისაგან მოქალაქეთა დაზღვევის გადასახლეებიდან — 50 პროცენტი;

გ) ბრუნვის გადასახალიდან და მოსახლეობის საშემოსავლო გადასახალიდან შემოსული თანხებიდან:

	ანარიცხების პროცენტები	
	ბრუნვის გადასახალიდან	მოსახლეობის საშემოსავლო გადასახალიდან
1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	31,8	52
2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	80,0	75
3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	71,3	45
4. ქალაქი თბილისი	10,6	16
5. ქალაქი ქუთაისი	11,9	20
6. ქალაქი ფოთი	39,8	55
7. ქალაქი ჰიათურა	29,8	25
8. ქალაქი რუსთავი	24,4	19
9. ქალაქი გორი	68,5	50
10. ქალაქი ტყიბული	45,2	20
11. ქალაქი ზუგდიდი	23,6	25
12. ქალაქი წყალტუბო	10,2	5
13. ქალაქი მარნეული	22,7	20
14. აბაშის რაიონი	56,8	55
15. ადიგენის რაიონი	44,3	100
16. ამბროლაურის რაიონი	61,0	55
17. ასპინძის რაიონი	83,2	100
18. ახალქალაქის რაიონი	71,4	35
19. ახალციხის რაიონი	48,6	20
20. ახმეტის რაიონი	63,6	70
21. ბოგდანოვკის რაიონი	70,7	50
22. ბოლნისის რაიონი	59,1	30
23. ბორჯომის რაიონი	14,3	16
24. გარდაბნის რაიონი	26,2	20
25. გეგეჭკორის რაიონი	42,9	23
26. გორის რაიონი	13,3	30
27. გურჯაანის რაიონი	40,5	20
28. დმანისის რაიონი	68,0	35
29. დუშეთის რაიონი	45,8	20
30. ვანის რაიონი	53,4	35

	ანარიცხების პროცენტები	
	ბრუნვის გადასახადიდან	მოსახლეობის საშუალო გადასახადიდან
31. ზესტაფონის რაიონი	11,9	20
32. ზუგდიდის რაიონი	13,8	25
33. თეთრი წყაროს რაიონი	88,0	62
34. თელავის რაიონი	15,9	30
35. თერჯოლის რაიონი	5,2	15
36. თიანეთის რაიონი	50,5	40
37. კასპის რაიონი	21,8	25
38. ლავრდების რაიონი	66,6	30
39. ლანჩხუთის რაიონი	57,8	20
40. ლენტეხის რაიონი	44,4	100
41. მაიაკოვსკის რაიონი	71,2	40
42. მარნეულის რაიონი	66,7	17
43. მახარაძის რაიონი	45,3	20
44. მესტიის რაიონი	33,8	50
45. მცხეთის რაიონი	36,3	25
46. ონის რაიონი	64,5	60
47. ორჯონიკიძის რაიონი	36,7	48
48. საგარეჯოს რაიონი	5,2	20
49. სამტრედიის რაიონი	25,1	24
50. საჩხერის რაიონი	49,3	55
51. სიღნაღის რაიონი	38,5	16
52. ქარელის რაიონი	44,4	25
53. ყაზბეგის რაიონი	33,6	100
54. ყვარლის რაიონი	22,0	32
55. ჩოხატაურის რაიონი	37,9	55
56. ჩხოროწყუს რაიონი	48,5	40
57. ცაგერის რაიონი	51,3	90
58. ცხაკაიას რაიონი	1,2	10
59. წალენჯიხის რაიონი	41,3	51
60. წალკის რაიონი	35,0	38
61. წითელი წყაროს რაიონი	40,6	40
62. წულუკიძის რაიონი	14,0	50
63. ხაშურის რაიონი	2,9	20
64. ხობის რაიონი	45,1	20

მუხლი 9. გადაეცეს სოფლის რაიონების ბიუჯეტებს (შემდგომში სახალხო დეპუტატთა სადაბო და სასოფლო საბჭოების ბიუჯეტებში გადასაცემად) საქართველოს სსრ რესპუბლიკურ ბიუჯეტში შემოსული ბრუნვის გადასახადის

ნაწილი, გამოანგარიშებული სამომხმარებლო კოოპერაციის საცალო საქონელბრუნვასთან პროცენტობით, შემდეგი ოდენობით:

სამხრეთ ოსეთის ავტონომიული ოლქი	38	ლაგოდეხის რაიონი	6
ქალაქი ჭითურა	49	ლანჩხუთის რაიონი	10
ქალაქი ტყიბული	30	ლენტეხის რაიონი	42
		მთიანეთის რაიონი	14
ქალაქი წყალტუბო	5		
აბაშის რაიონი	22	მარნეულის რაიონი	13
ადიგენის რაიონი	30	მხარაძის რაიონი	4
		მესტიის რაიონი	40
ამბროლაურის რაიონი	23		
ასპინძის რაიონი	36	მცხეთის რაიონი	6
ახალქალაქის რაიონი	13	ონის რაიონი	23
		ორჯონიკიძის რაიონი	30
ახალციხის რაიონი	16		
ახმეტის რაიონი	13	საგარეჯოს რაიონი	6
ბოგდანოვკის რაიონი	15	სამტრედიის რაიონი	8
		საჩხერის რაიონი	21
ბოლნისის რაიონი	15		
ბორჯომის რაიონი	4	სიღნაღის რაიონი	7
გარდაბნის რაიონი	3	ქარელის რაიონი	21
		ყაზბეგის რაიონი	32
გეგეჭკორის რაიონი	16		
გორის რაიონი	10	ყვარლის რაიონი	11
გურჯაანის რაიონი	4	ჩოხატაურის რაიონი	15
		ჩხოროწყუის რაიონი	17
დმანისის რაიონი	30		
ღუშეთის რაიონი	22	ცაგერის რაიონი	27
ვანის რაიონი	21	ცხაკიას რაიონი	20
		წალენჯიხის რაიონი	17
ზესტაფონის რაიონი	10		
ზუგდიდის რაიონი	11	წალკის რაიონი	25
თეთრი წყაროს რაიონი	9	წითელი წყაროს რაიონი	11
		წულუკიძის რაიონი	12
თერჯოლის რაიონი	9		
თელავის რაიონი	17	ხაშურის რაიონი	9
თიანეთის რაიონი	31	ხობის რაიონი	17
კასპის რაიონი	8		

მუხლი 10. დამტკიცდეს ანარიცხები პროცენტობით 1985 წლისათვის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებში და ადგილობრივ ბიუჯეტებში საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის, ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის, ხორცისა და რძის მრეწველობის, კვების მრეწველობის სამინისტროების, საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის სისტემაში შემავალი გაერთიანებებისა და საწარმოების, ხოლო ქალაქ ფოთის ბიუჯეტში სხვა სამინისტროებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მოგების თავისუფალი ნაშთიდან და თავისუფალი ამორტიზაციიდან, მოგებიდან, აგრეთვე რესპუბლიკურ ბიუჯეტში შესატანი ჭარბი საბრუნავი სახსრებიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ „საქართველოს სსრ 1985 წლის სახელ-

მწიფო ბიუჯეტის შესახებ“ 1984 წლის 14 დეკემბრის № 821 დადგენილებით მიღებული ოდენობით.

მუხლი 11. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს საქართველოს სსრ 1985 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ წინადადებანი და შენიშვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების დასკვნებში, აგრეთვე წინადადებანი და შენიშვნები, რომლებიც დეპუტატებმა გამოთქვეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე, და მიიღოს მათ გამო შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი**.

თბილისი, 1984 წლის 15 დეკემბერი.

№ 158—X ს

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

419 საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1984 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მოხსენება საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1984 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

2. აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ახორციელებს საჭირო ღონისძიებებს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1984 წლის სახელმწიფო გეგმის შესასრულებლად.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების წინადადებანი და შენიშვნები, აგრეთვე წინადადებანი და შენიშვნები, რომლებიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე გამოთქვეს დეპუტატებმა საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1984 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის საკითხზე და სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომი-

ტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა საფუძველზე განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებანი 1985 წლისა და მთლიანად ხუთწლედის საგეგმო დავალებათა წარმატებია შესასრულებლად.

1984 წლის 15 დეკემბერი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1984 წლის 15 დეკემბერი.

№ 159—X ს

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

420 საქართველოს სსრ 1983 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1983 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შემოსავლის ნაწილში — 3.080.267 ათასი მანეთისა და გასავლის ნაწილში — 3.027.002 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 53.265 ათასი მანეთის გადამეტებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1984 წლის 15 დეკემბერი.

№ 160—X ს

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

421 საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის სამოქმედოდ შემოღების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1985 წლის 1 ივნისიდან.



2. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაადგინოს საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის სამოქმედოდ შემოღების წესი და საქართველოს სსრ კანონმდებლობა შეუსაბამოს ამ კოდექსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1984 წლის 15 დეკემბერი.

№ 161—X ს

საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ერთვის № 12 საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უწყებებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

422 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისია, ხელმძღვანელობს რა სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმის დადგენილებით, გარკვეული მუშაობა ჩაატარა რესპუბლიკის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის შესახებ კონსტიტუციურ დებულებათა განსახორციელებლად.

კომისია თავის საქმიანობაში დიდ ყურადღებას უთმობს რესპუბლიკაში ჯანმრთელობის დაცვის და მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, მედიცინის მუშაკთა პასუხისმგებლობის ამოღების, აგრეთვე რესპუბლიკაში მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გააქტიურების საკითხებს, მუშაობაში ეყრდნობა ფართო აქტივს, საკითხების შესასწავლად და განსახილველად იზიდავს სპეციალისტებს, სამეცნიერო დაწესებულებათა, სახალხო კონტროლის კომიტეტის ორგანოების მუშაკებს.

სერიოზული მუშაობა ტარდება ჯანმრთელობის დაცვის შესახებ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე პარტიისა და მთავრობის დად-

გენილებების მოთხოვნათა შესრულებისადმი კონტროლის განსახორციელებლად.

რესპუბლიკის სახელმწიფო მართვის ორგანოები, შესაბამისი ორგანიზაციები და დაწესებულებები, სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები საჭირო ყურადღებით ეკიდებიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიის რეკომენდაციებისა და წინადადებების შესრულებას, ახორციელებენ ორგანიზაციულ ღონისძიებებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

რესპუბლიკის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების და უწყებების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მიერ კომისიის რეკომენდაციათა შესასრულებლად განხორციელებულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყვეს რესპუბლიკის ბევრ რეგიონში მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებაში გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას და მის გაუმჯობესებას. მთელმა რიგმა სოციალურ-პიგიენურმა და სამედიცინო ღონისძიებებმა მიუახლოვა ცენტრიდან დაშორებული სოფლების მოსახლეობას კვალიფიციური სამედიცინო დახმარება, გაუმჯობესა მესტიისა და ახალქალაქის რაიონების სოფლის მცხოვრებთა სამედიცინო მომსახურება.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა შეიმუშავეს კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმები იმ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რომლებიც აღნიშნულია „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მდგომარეობის შესახებ“ კომისიის გადაწყვეტილებაში, მოწესრიგებულია მოსახლეობის მასობრივი დისპანსერიზაციის საქმე, ოლქის ყველა რაიონში მოწყობილია მოზარდთა კაბინეტები, სადაც წარმოებს შესაბამისი კონტინგენტის საფუძვლიანი სამედიცინო გასინჯვა. დიდი ყურადღება ეთმობა ამბულატორიულ-პოლიკლინიკური მუშაობის შემდგომ სრულყოფას, პოლიკლინიკები გადაყვანილია ექვსდღიან სამუშაო კვირაზე. საოლქო საავადმყოფოში ვითარდება ვიწრო სპეციალიზაცია, ამოქმედდა რეანიმაციური, ონკოლოგიური განყოფილებები, ენდოსკოპიურ გამოკვლევათა კაბინეტი.

კომისიის რეკომენდაციათა შესასრულებლად საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის, ადგილობრივი მრეწველობისა და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროებმა გააძლიერეს მუშაობა შრომითს საქმიანობაში პენსიონერთა და ინვალიდთა ჩასაბმელად; რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა განახორციელეს ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესების, სპორტული დარბაზების, საცურაო აუზებისა და სპორტული მოედნების მშენებლობის მთელი რიგი ღონისძიებანი.

ამასთან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო აღნიშნავს, რომ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, მისი ადგილობრივი ორგანოებისა და სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მიერ სამკურნალო-პროფილაქტიკური მუშაობისა და რესპუბლიკის მოსახლეობის სოციალური მომსახურების გაუმჯო-

ბეგების უზრუნველსაყოფად გაწეულ საქმიანობაში სერიოზული ნაკლოვანებებია. ბევრ სამკურნალო დაწესებულებაში საჭირო ყურადღება არ ეთმობა დიაგნოსტიკის, პროფილაქტიკისა და მკურნალობის შესაძლებლობათა გაფართოებას; დაბალია სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური მუშაობის, ექიმთა და საშუალო საფედიცინო პერსონალის პროფესიული მომზადების დონე, ნელა აღმოიფხვრება გამოძალვის, ავადმყოფებისადმი უყურადღებო დამოკიდებულების ფაქტები და სხვა ნეგატიური მოვლენები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო აღნიშნავს, რომ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისია ჯერ კიდევ არასაკმარისად იყენებს მუშაობის აპრობირებულ ორგანიზაციულ ფორმებს, არ უწევს სისტემატურ კონტროლს თავისი რეკომენდაციებისა და ამომრჩეველთა იმ განაწესების შესრულებას, რომლებიც მის კომპეტენციას შეეხება; სუსტია კომისიის კავშირი ადგილობრივი საბჭოების შესაბამის მუდმივ კომისიებთან.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის ანგარიში მოწვევის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ მიღებულ იქნეს ცნობად.

2. დაევალოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივ კომისიას მთელი თავისი მუშაობა მომავალშიც დაუქვემდებაროს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების დარგში პარტიისა და მთავრობის წინასწარდასახულობათა შესრულებისადმი, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის შესახებ კანონმდებლობის დაცვისადმი, ამომრჩეველთა მიერ დეპუტატებისათვის მიცემული განაწესების განხორციელებისა და მათ მიერ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებზე გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების რეალიზაციისადმი კონტროლის უზრუნველყოფის ამოცანებს;

— განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს მოსამზადებელი, ორგანიზატორული და საკონტროლო საქმიანობის სრულყოფას, მუდმივად გააუმჯობესოს კომისიის, პრეზიდიუმის სხდომებსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებზე განსახილველი საკითხების მომზადების ხარისხი, მიიღოს კონკრეტული ზომები საკუთარ გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზაციისათვის;

— განაგრძოს მუშაობა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხვა მუდმივ კომისიებსა და ადგილობრივი საბჭოების შესაბამის კომისიებთან, სახალხო კონტროლის ორგანოებთან, პროფკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ურთიერთმოქმედების გასაძლიერებლად.

3. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ:

— მიიღოს დამატებითი ზომები ჯანმრთელობის დაცვის შესახებ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების შემდგომი სრულყოფის, სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში შრომის დისციპლინის განმტკიცების, მედიცინის მუშაკთა

კვალიფიკაციისა და მინდობილი საქმისათვის მათი პასუხისმგებლობის ამაღლების, რესპუბლიკის მოსახლეობის კვალიფიციური სამედიცინო დახმარების, უკეთ უზრუნველყოფის, პრაქტიკაში მედიცინის მეცნიერების მიღწევათა ფართოდ დანერგვის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა განუხრელად შესასრულებლად;

შექმნას მოსახლეობის ყოველწლიური სრული დისპანსერიზაციის ორგანიზებული ჩატარების, სანიტარიულ-პროფილაქტიკური მუშაობის უკეთ ორგანიზაციის ყველა პირობა; მიიღოს ზომები სოფლის სამედიცინო დაწესებულებათა კვალიფიციური კადრებითა და სპეციალიზებული ტრანსპორტით უზრუნველსაყოფად.

4. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ:

— უზრუნველყოს ადგილობრივი ორგანოების საქმიანობის კარდინალური გაუმჯობესება და მოსახლეობის სოციალური მომსახურების მაღალი დონე, შექმნას ისეთი ატმოსფერო, რომელიც დასანიშნი პენსიებისა და დახმარების თანხის გაანგარიშებისას გამოორიცხავს საქმის გაჭიანურებას, ბიუროკრატიზმსა და შეცდომებს;

— შესაბამის სამინისტროებთან, სახელმწიფო კომიტეტებთან და უწყებებთან, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან ერთად განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი შრომითს საქმიანობაში ინვალიდთა და პენსიონერთა ფართოდ ჩასაბმელად; გააუმჯობესოს შრომისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანთა მომსახურების, მკურნალობისა და დასვენების ორგანიზაცია.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა:

— მუდმივად სრულყოს მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა, უფრო კონკრეტულად მოეკიდოს რესპუბლიკის ფიზკულტურული კოლექტივებისა და სპორტული ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებას, მშთ ნიშნოსანთა და თანრიგოსან სპორტსმენთა მომზადებას.

6. დაევალოთ რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

— სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად გააძლიერონ ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებებისა და ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა; გაუწიონ მათ მეტი პრაქტიკული დახმარება კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებაში, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებასა და ამ სფეროების მუშაკთათვის ნორმალური კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნაში.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მუდმივი კონტროლი გაუწიოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ობიექტების მშენებლობას; მიაღწიოს გამოყოფილ კაპიტალურ დახმარებათა ათვისებას, აღ-

ნიშნული ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემას სახელმწიფო გეგმით დასახულ ვადებში და მშენებლობის ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1984 წლის 15 დეკემბერი.

№ 162—X ს

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი

423 საქართველოს სსრ ზოგბიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1984 წლის 5 ივლისისა „საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსისა და საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“;

1984 წლის 3 აგვისტოსი „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 29 მაისის ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“;

